CONSENSUS – INDICATOR OF POLITICAL CULTURE

Salome Gurguchiani

PhD student at the Faculty of Law and International Relationship at Georgian Technical University

Email: s.gurguchiani@gmail.com

ABSTRACT

THE ARTICLE represents an attempt to analyse the steps taken to implement national interests of the country and peaceful cultural policy at a local level.

On the other hand, the article is an academic research of system analysis of formal and informal institutions, different interest groups and also policy platforms of different political political parties. This analysis will be carried out on the basis of political culture of the country.

The aim of the article is to inform readers about the importance and functions of negotiations in solving controversial issues The article will reveal the process of negotiations, the stages of preparation, the tactics and the strategy.

In the article we analyse the essence of consensus and negotiations and the steps that should be taken in the foreign and internal cultural politics of the State.

KEYWORDS: Challenge, compromise, radicalism

შესავალი

კაცობრიობის ისტორიაში დიალოგი, როგორც მხარეთა ურთიერთობის ფორმა, ყოველთვის იყო უაღრესად მნიშნელოვანი მოვლენა, მოლაპარაკებას და კომპრომისს განსაკუთრებით კონფლიქტურ სიტუაციაში ალტერნატივა არ გააჩნია, სამშვიდობო პოლიტიკის წარმოების მთავარი იარაღი სწორედ მოლაპარაკების წარმოების ტექნიკის, უნარების დახვეწა და გაძლიერებაა. დღესდღეობით ორად გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანებისთვისა და პოლარიზებული გარემოს დასაცხრობად აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, აღნიშნული კი მიიღწევა სიძულვილის ენის ჩანაცვლებით და სწორი კომუნიკაციის წარმოებით, საქართველოში პოლარიზაციამ იმგვარ ზღვარს მიაღწია, რომ შეუძლებელია იგი ქვეყნისთვის სასარგებლოდ დასრულდეს, ამდენად, განსხვავებული შეხედულებების დასაახლოვებლად მნიშვნელოვანია დიალოგის და იმგვარი სასაუბრო ფორმატის შექმნა, რომელიც გამოკვეთს პრობლემის არსს და წარმოაჩენს საფრთხეს, რომელშიც საზოგადოების თითოეული წევრი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად მონაწილეობს, მწვავე პოლარიზაცია მოლაპარაკებების წარმოებისა და კომპრომისის საჭიროებაზე მიუთითებს, ხსენებული არა მხოლოდ უსაფრთხოებისთვის არის აუცილებელი, არამედ პოლიტიკური კულტურის განმსაზღვრელ ინდიკატორს წარმოადგენს.

ამგვარად, ჩემ მიერ საკვლევი საკითხის ირგვლივ მსჯელობა ემსახურება, წარმოაჩინოს, თუ რა როლი აქვს კონსენსუსს პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში, სტატიაში განხილულია პოლიტიკური კულტურის ფენომენი, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და მისი პოზიტიური როლი.

პოლიტიკური კულტურა არის კაცობრიობის ზოგადი კულტურის საყოველთაოდ აღიარებული სფერო, რომელიც პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან, პოლიტიკურ საქმიანობასთან, ქცევასა და ადამიანების ცნობიერებასთან. პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური ორიენტაციები, ცალკეული პირების, მცირე და დიდი ჯგუფების, პოლიტიკური ქცევა.

პოლიტიკური კულტურის შესწავლას სარგებელი მოაქვს პოლიტიკური მეცნიერებისთვის, კონსენსუსის წყალობით კი შესაძლებელია მრავალი კონფლიქტის გადაჭრა და სახელმწიფოებს შორის განსხვავებების დანახვა; პრობლემები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო პოლიტიკურ კულტურას, შემდგომ უნდა გადაიჭრას ან რეფორმების პრაქტიკული გამოყენების გზით, ან დამოკიდებულებებისა და პოლიტიკური კულტურის მუდმივი კვლევის გზით, რათა გაზომოს ცვლილებების საზოგადოების მიერ აღქმა, სანამ რაიმე შესაძლო ნეგატიურ შედეგს გამოიღებს.

ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს მისი მთავარი პრობლემის მრავალწახნაგოვანი ხასიათი, რომელიც გამოწვევაა დღესდღეობით ქართული პოლიტიკური კულტურისთვის, ჩემი ნაშრომი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყოველი დაინტერესებული პირისთვის, ვფიქრობ, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და მასში არის მოკრძალებული პასუხი დასახელებული პრობლემის გადაჭრისთვის.

სოციალური პროცესი – პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების წინაპირობა

პოლიტიკურ კულტურაში კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური,

ეროვნული, რელიგიური, კულტურული, გეოპოლიტიკური, ისტორიული განვითარება მნიშვნელოვან თავისებურებებს განაპირობებს, ერთ-ერთი გამოხატულება კულტურული პოლიტიკური პროცესის ასევე არის საზოგადოების აქტიური ჩართულობა სოციალურ პროცესებში.

თანამედროვე მნიშვნელობით, ტერმინი "კულტურა" XVII საუკუნიდან იხმარება, მიჩნეულია, რომ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით იგი პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა სამუელ პუფენდორფმა (1632-1694), რომელიც კულტურას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა.

საზოგადოებაში არც თუ იშვიათად საუბრობენ პოლიტიკურ კულტურაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიმდინარე პროცესების შეფასება ხორციელდება, თუმცა რთულია კითხვაზე პასუხი, თუ რა ტიპი გვხვდება საქართველოში.

„პოლიტიკური კულტურა" ტერმინი გვხვდება XVIII-XIX საუკუნის გერმანელი მოაზროვნის, იოჰან გოტფრიდ ჰერდერის, შრომებში, ამ ტერმინს იყენებს ასევე ლენინიც.[1] სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სამეცნიერო დღის წესრიგში პოლიტიკური კულტურის სისტემური კვლევის აუცილებლობაზე გაბრიელ ალმონდმა 1959 წელს დაწერა, თუმცა, პოლიტოლოგმა რონალდ ინგლეჰარტმა 1988 წელს პოლიტიკური კულტურის კვლევას უფრო სრულყოფილი ხასიათი მისცა. სტატიაში სახელწოდებით „პოლიტიკური კულტურის რენესანსი",[2]

მრავალ ნაშრომში განხილულია პოლიტიკური კულტურის და დემოკრატიის თანაფარდობის შესახებ მსჯელობა, დემოკრატია ყალიბდება საზოგადოების ნდობით ძლიერი ინსტიტუტების მიმართ, ეკონომიკური სიძლიერის გარეშე კი შეუძლებელია დემოკრატიული მმართველობის განხორციელება.

პოლიტიკური კულტურის ზუსტი დეფინიციის არარსებობის პირობებში შეგვიძლია განვაზოგადოთ და ვთქვათ, რომ იგი გულისხმობს პოლიტიკური ცხოვრების ღირებულებით ასპექტებს, უფრო კონკრეტულად კი, კულტურული გარემოებების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული პოლიტიკის კეთების თამაშის წესებსაც, რომლებიც მუდმივად დინამიურია და პოლიტიკური კონტექსტების პარალელურად იცვლება. ეს თამაშის წესები ეფუძნება როგორც ქვეყნის განვლილ ისტორიას, ასევე ცვლად აწმყოს, საზოგადოების პოლიტიკურ წარმოდგენებსა და ქცევებს.

„პოლიტიკური კულტურის" ცნება სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მე-18 საუკუნის გერმანელმა ფილოსოფოსმა ი. ჰერდერმა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კულტურის საკითხები გამოიკვლიეს ყველა დროის გამოჩენილმა მოაზროვნეებმა: პლატონმა, არისტოტელემ, მაკიაველმა, მონტესკიემ, მარქსმა, სპენსერმა, ვებერმა და სხვებმა, პლატონს სჯეროდა, რომ ადამიანები ერთმანეთს ასწავლიან, იყვნენ კარგი მოქალაქეები: სამართლიანი, ბრძენი, ღვთისმოსავი.

სამოქალაქო კულტურისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს განიხილავდნენ მე-18 საუკუნის ფრანგი განმანათლებლები: მონტესკიე, ვოლტერი, რუსო.

პოლიტიკური კულტურა განაპირობებს სწორედ იმას, თუ რას მოიმოქმედებენ

1 Barnard, M., 1969. Culture and Political Development: Herder's Suggestive Insights,' American Political Science Review 63, გვ. 384; Brown, A.,1984. Introduction Political Culture and Communist Studies (London: Macmillan, 1984), გვ. 1.

2 Inglehart, R., 1988. The renaissance of political culture. TheAmerican Political Science Review, გვ. 1226.

ლიდერები კონკურენტულ გარემოში, პოლიტიკური კულტურა განასხვავებს ჯგუფს საზოგადოებისგან. საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა, ომებმა, სამოქალაქო დაპირისპირებამ, რევოლუციებმა, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ არსებულმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, ოკუპაციამ, პოლარიზაციამ, უნდობლობამ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ გავლენა მოახდინა პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები მზარდია, შესაბამისად, პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი გრძელდება, სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ადვილია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური კულტურა სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან ერთად ინსტიტუციურად ამწიფებს თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. თუმცა, ამავდროულად, ერი-სახელმწიფო და მასში მოქმედი ფორმალური თუ არაფორმალური ინსტიტუტები თავად აყალიბებენ პოლიტიკურ კულტურას. პოსტრევოლუციური პოლიტიკური კულტურის მთავარ მახასიათებლად გვევლინება პოლარიზაცია, რომელიც დღემდე გრძელდება და უფრო მკვეთრ მასშტაბებს იძენს, პოლიტიკური დღის წესრიგში ძირითადად დაკვეთა არის რადიკალიზმზე, პარტიების მიმართ არსებული მცირე ნდობის ფონზე, იქმნება ერთგვარი პოლიტიკური ანტიკულტურა, სადაც პრაქტიკულად არ არსებობს საზოგადოების პოლიტიკური ქცევის კულტურული მოდელი, რომელიც თავისთავად მკვეთრად ნეგატიურად აისახება სოციალიზაციის ხარისხზე, ასევე ქვეყნის საგარეო იმიჯზე.

დღესდღეობით მზარდი პოლარიზაციის ფონზე პოლიტიკური კლიმატი არ იძლევა დადებითი პროგნოზის საფუძველს, ამიტომ უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ჩართულობა როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური პოლარიზაციის განმუხტვის, ასევე შემწყნარებლური, ინკლუზიური და პლურალისტური პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების პროცესში. ამას კი ზუსტად იმდენი დრო დასჭირდება, რამდენსაც ქართული საზოგადოება დაუკვეთს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური კულტურა სოციალური კონსტრუქციაა, საზოგადოების ღირებულებათა არჩევანი გადაწყვეტს საქართველოს პოლიტიკურ ბედს.

მოლაპარაკება – შეთანხმების მიღწევის საშუალება

მოლაპარაკებები პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. პოლიტიკური მოლაპარაკებები ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის ბევრ რთულ და მარტივ საკითხზე მიმდინარეობს, დიპლომატური მოლაპარაკებები კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზაა და მას ალტერნატივა არ აქვს. ამ პროცესზე გავლენას ახდენენ მონაწილეთა თვისებები და უნარები. მოლაპარაკებების განმახორციელებლები ცდილობენ კონფლიქტის მოგვარებას წინადადებების გაცვლით; ასეთი გაცვლის დროს ისინი ცდილობენ მინიმუმამდე დაიყვანონ თავიანთი განსხვავებები და მიაღწიონ ორმხრივ მისაღებ გადაწყვეტილებას; მოლაპარაკებები ურთიერთქმედების ფართო პროცესია და კონფლიქტის მოგვარების მექანიზმს წარმოადგენს.

მოლაპარაკებები არის ინფორმაციის გაცვლის პროცესი. მხარეები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთმანეთის შესახებ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვებით, განსაზღვრავენ თავიანთ სტრატეგიებსა და ტაქტიკას, არეგულირებენ მოლოდინებს ახალ ცოდნასთან, განსაზღვრავენ თავიანთ მოთხოვნებს და

ა.შ. ინფორმაციის გაცვლა, პირდაპირი და საპირისპირო შეტყობინებები, ქმნის ციკლურ საინფორმაციო პროცესს.

მოლაპარაკების პროცესი მოიცავს ისეთ ფსიქოლოგიურ ფაქტორს, როგორიცაა აღქმის სელექციურობა, რომელიც დამოკიდებულია მონაწილეთა იდეებზე, ზეპირი მოლაპარაკებების წარმართვის უნარი პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტია.

მოლაპარაკების პროცესის წარმატებულობას განაპირობებს იდეები, თითოეული მხარე იწყებს მოლაპარაკებებს საკუთარი სასურველი ალტერნატივებით, ანუ მიზნების მიღწევის სასურველი გზებით.

მხარეთა მოლაპარაკების პროცესზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვა ფაქტორებმა: წინა მოლაპარაკებების ისტორიამ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოლოდინებმა პარტნიორისგან და ა.შ.

მოლაპარაკებისას ადგილის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ადგილის არჩევანი განისაზღვრება უსაფრთხოების და პროცესის „ტერიტორიულობიდან" (როდესაც ადამიანი საკუთარ ტერიტორიაზეა, თავს დაცულად გრძნობს, უფრო მოდუნებულად იქცევა და ა.შ.), როცა მოლაპარაკებები მიმდინარეობს კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე, ეს მხარე იღებს ფსიქოლოგიურ უპირატესობას.

მოლაპარაკებების დროს შეიძლება წარმოიშვას ახალი საკითხები, რომლებიც განხილვას მოითხოვს. შედეგად, თავად დღის წესრიგმა შესაძლოა ცვლილებები განიცადოს. მოლაპარაკების თემის გაფართოებამაც შესაძლებელია, გამოიწვიოს მრავალი სხვა, „მიძინებული" კონფლიქტი (ეს ხშირად ხდება ყარაბაღის კონფლიქტზე მოლაპარაკებების დროს). მეტიც, მოლაპარაკების დღის წესრიგში დაჟინებით ჩართვა შეიძლება იყოს ახალი საკითხების განხილვაზე გავლენის მოხდენის საშუალება.

წარმატებული მოლაპარაკებებისთვის სასარგებლოა განსახილველი საკითხების დაჯგუფება, მათი მნიშვნელობის დონისა და სხვა პროცესუალური კრიტერიუმების განსაზღვრა.

მომლაპარაკებელებს უნდა შეეძლოთ სწორი შთაბეჭდილების მოხდენა, მაგალითად, იყვნენ მტკიცენი და არ გამოჩნდნენ, როგორც მორჩილები, თუმცა ხისტი პოზიციების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია მცირე დათმობებზე წასვლა, ასეთი დათმობები ხელს უწყობს წარმატებულ მოლაპარაკებას.

მოლაპარაკებები უფრო გონივრულად წარიმართება არახისტი მოთხოვნების შეთავაზების შემთხვევაში, მოლაპარაკებების გახსნას და მხარეთა პირველ წინადადებებს აქვთ რიტუალური ხასიათი. ამ ფაზაში იწყება განსხვავებების შემცირების რეალური სამუშაო. მიმდინარეობს წინადადებებით და კონტრწინადადებებით „ვაჭრობა". ყველა იბრძვის უკეთ გაიცნობიეროს მეორე მხარის რეალური შესაძლებლობები და განზრახვები.

მოლაპარაკებებისას გასათვალისწინებელია, რომ დიდი დათმობები ასოცირდება რისკთან, რადგან ისინი მცირე შანსს ტოვებენ შემდგომში შეთანხმებისას და ქმნიან დამორჩილებული მხარის ექსპლუატაციის შთაბეჭდილებას.

მსოფლიო პოლიტიკის განვითარების ტენდენციები მოითხოვს ახალი საერთაშორისო სისტემის ფორმირების აუცილებლობას. თანამედროვე ეტაპზე ამგვარი რამ სახელმწიფოთა თანამშრომლობის, დიალოგის, ერთობლივი ძალისხმევის, შეთანხმებული მოქმედების გარეშე წარმოუდგენელია. ყოველივე ეს კი, საერთაშორისო მოლაპარაკებების როლს ერთიორად ზრდის. დღეისათვის იგი გახდა ქვაკუთხედი და, შეიძლება ითქვას, მთავარი საშულება საერთაშორისო საზოგადოებაში არსებული პრობლე-

მების მოგვარებისათვის.[3] გლობალური გამოწვევები და მათი მოგვარების აუცილებლობა მოლაპარაკებების წარმოების საჭიროებაზე მიუთითებს.

მოლაპარაკება არამხოლოდ უსაფრთხოებისთვის არის აუცილებელი, არამედ იგი თანამედროვე, კულტურული და განვითარებული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. საერთო ენის გამონახვა მართალია ბევრ უნარს მოითხოვს, თუმცა განვითარებაც ხომ მრავალმხრივი უნარის არსებობით მიიღწევა. მოლაპარაკების ხელოვნება, ეს არის ის იარაღი, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ის, თუ რამდენად წარმატებული იქნება ესა თუ ის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვის კუთხით. ჯონ. დ. როკფელერი ამბობდა: „ადამიანებთან მოლაპარაკების ცოდნა ესაა საქონელი, რომლისთვისაც მე გადავიხდი უფრო მეტს, ვიდრე სხვა დანარჩენი საქონლისთვის მსოფლიოში“.

მნიშვნელოვანია, მკითხველმა დაინახოს მოლაპარაკების არსი, განსაკუთრებით, საქართველოს მაგალითზე, უჩვეულოდ ურთულეს პოლიტიკურ პირობებში მყოფი პატარა ქვეყანა თუ როგორ ცდილობს გადარჩენას, ფეხზე წამოდგომას და თავისი ადგილის პოვნას საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში. საქართველოსთვის თვითმყოფადობის შენარჩუნება რთულ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე წარმოადგენს გამოწვევას, ხსენებული ფაქტორი ასევე გამოწვევაა ყველა იმ მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, რომლებიც გლობალური პოლუსების გამყოფი ხაზების გასწვრივ წარმოქმნილ „ბუფერებში“ არიან მოქცეულნი. სახელმძღვანელო პრინციპი გამოწვევებთან გასამკლავებლად უნდა გახლდეთ კონსესუსი და მოლაპარაკების წარმოება.

კონფლიქტის გადასაჭრელად პროცესში გადამწყვეტია უპირველესად სურვილი, ამასთან მოლაპარაკების მაგიდასთან მისვლამდე წინდახედული მომლაპარაკებლები მნიშვნელოვან დროს უთმობენ ალტერნატიული გზების იდენტიფიცირებას და მის გასაუმჯობესებლად ნაბიჯების გადადგმას. მოლაპარაკების დროს შესაძლებელია, ორივე მხარე იდგეს როგორც ერთ, ასევე განსხვავებულ მხარეს, წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით პროცედურული საკითხების განხილვა გზას გაუხსნის (უხსნის) ბევრად უფრო კონცენტრირებულ მოლაპარაკებებს.

მოლაპარაკების დაწყებისას შედეგიანი საუბარი ყოველთვის არ არის შესაძლებელი, თუმცა ამას შეუძლია რეალური სარგებელი მოიტანოს. დაკვირვება აჩვენებს, რომ შეთანხმების მიღწევა ადვილია, თუ მხარეები სულ რამდენიმე წუთს დაუთმობენ ერთმანეთის გაცნობას. ჩიხურ სიტუაციაში მოლაპარაკება არის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული მოლაპარაკების უნარი, რომელსაც ადამიანი უნდა ფლობდეს. ამ პროცესში ცალკე ყურადღებას იმსახურებს მოსმენის მნიშვნელობა და საერთო სურვილის წარმოჩენის საკითხი. წინასწარ დაფიქრებას მოითხოვს ის, თუ რა უნდა ითქვას შემდეგში, სანამ სხვა საუბრობს. არგუმენტების ყურადღებით მოსმენის შემდგომ პერიფრაზი ახდენს ხაზგასმას, თუ რამდენად სწორადაა გაგებული საკითხი, დამაკნინებელი არ არის რთული გრძნობის აღიარება, მაგ.: როგორიცაა იმედგაცრუება, ამ ყველაფრისგან ღირებული ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი, ამავდროულად

3 სანიკიძე, გ. და კიღურაძე, ნ., 2021. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. თბილისი: მერიდიანი, გვ. 5. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <https://www.geculture.com/2020/11/25> [წვდომის თარიღი 14 ნოემბერი 2023].

მეორე მხარემ შეიძლება მიბაძოს სამაგალითო მოსმენის უნარს. მოლაპარაკების დროს ყოველთვის მოსაძიებელია ჭკვიანური შეთავაზებები. დათმობები არ ნიშნავს, რომ ასეთ დროს ერთი მხარე აგებს, პირიქით, შესაძლოა ორივე მხარემ მიიღოს იმაზე მეტი, რაც მათ რეალურად სურთ. მოლაპარაკების დროს მოწინააღმდეგის ინტერესთა სფეროს დადგენა და ამ მიმართულებით საკითხის მეტად შეფასება მნიშვნელოვანია, ამავდროულად დათმობის სანაცვლო შეთავაზების განხორციელება.

პირველი შთაბეჭდილება ძლიერ გავლენას ახდენს შემდგომ მოლაპარაკებებზე, შესაბამისად იგი ყოველთვის უნდა აწარმოოს მრავალმხრივი უნარებით დაჯილდოვებულმა პირმა. მოლაპარაკების ხელოვნებაში ტაქტიკა არის იმ მეთოდების და ხერხების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება სასურველი მიზნის მისაღწევად.

დიპლომატია არის მოლაპარაკების ხერხი, ურთიერთობების შექმნისა და მართვის ხელოვნება, შეთანხმებების გზით. დიპლომატია სთავაზობს ღირებულ ინსტრუმენტებს ყველა მომლაპარაკებელს. დიპლომატიის სარგებლიანობისთვის საჭიროა ერთიანი ფრონტის წარმოჩენა, წინასწარი მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მოველით, რომ მოლაპარაკებები იქნება რთული.

შეთანხმების პროექტზე თუ მოლაპარაკებები ერთად მუშავდება, შეიძლება ითქვას, რომ მხარეები თავიდანვე ფაქტობრივად ერთსა და იმავე გვერდზე დგანან. ხშირ შემთხვევაში ამ თანამშრომლობით პროცესს შეუძლია გააუმჯობესოს საერთო ენის პოვნის შანსები.

მთელი წინასწარი სამუშაო, მათ შორის სწორი ლიდერების არჩევა, ძირითადი მოთამაშეების მხარდაჭერის მოპოვება, სტუმართმოყვარე გარემოს შექმნა და შეთანხმების პროექტზე მოლაპარაკება, მართალია არ იძლევა წარმატებული მოლაპარაკებების გარანტიას, მაგრამ არსებითად უფრო მყარ ნიადაგზე დადგომის წინაპირობაა.

მნიშვნელოვანი მოლაპარაკების ან კონფლიქტის მოგვარების მცდელობისთვის სტრატეგიის შედგენისას, შეიძლება ღირებული იყოს სხვადასხვა თვალსაზრისის ძიება, თუმცა, გარკვეულ მომენტში საჭიროა ფაქტებისა და მოსაზრებების გარჩევა და ერთიანი მიდგომის შექმნა.

მოლაპარაკებისას მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას ცალკეული მომლაპარაკებლების გამოცდილების, პერსპექტივების და გავლენის სფეროები, წარმატებული მოლაპარაკების უტყუარი ფორმულა არ არსებობს, თუმცა, რაც გარდაუვლად გასათვალისწინებელია, ეს გახლავთ კულტურულ განსხვავებებზე მუშაობის უნარი.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლაპარაკებები ადრე დიპლომატების და პოლიტიკური მოღვაწეების ძალიან ვიწრო წრის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში ფართო დატვირთვა შეიძინა და გაიზარდა უსაფრთხოების კუთხით გამოწვევები, საზოგადოების თითოეული წევრი მნიშვნელოვანია აღიჭურვოს მოლაპარაკების წარმართვის უნარებით. რთული გეოპოლიტიკური რეალობა მნიშვნელოვნად ცვლის ამინდს ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამდენად, ყველა დონეზე მოლაპარაკების საყოველთაობა ძალაუნებურად იწვევს მოლაპარაკების ხელოვნების ფლობის აუცილებლობას. იშვიათად იბადებიან მოლაპარაკების დიდოსტატებად, მაგრამ ამ უნარების შესწავლა შესაძლებელია. მოლაპარაკებას მერიემ ვებსტერი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ფორმალური დისკუსია ადამიანებს შორის

შეთანხმების მისაღწევად“. ხსენებული საკმაოდ მარტივი დეფინიციაა, რომელიც ააღვილებს მის მორგებას მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან, შეთანხმების მისაღწევად მოლაპარაკების წარმოება ურთულესი პროცესია, რადგან ის მოითხოვს სხვადასხვა გზების ძიებას განსხვავებული ინტერესების, მიზნებისა და შესაძლებლობების მქონე გარემოში.

მოლაპარაკების პროცესს თითოეული ქვეყანა განსხვავებული თეორიული მომზადებითა და პრაქტიკული გამოცდილებით წარმართავს, ამიტომ შედეგებიც განსხვავებულია.

საერთაშორისო ურთიერთობებში მოლაპარაკების წარმოება არის უნარი, რომელიც გვეხმარება ეროვნულ დონეზე კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ამასთან მნიშვნელოვან იარაღად იქცევა კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად. მოლაპარაკების წარმოებით ქვეყნები, რომლებსაც განსხვავებული, ზოგჯერ კი საწინააღმდეგო საჭიროებები და ინტერესები აქვთ, შეთანხმებამდე მისვლას ახერხებენ. სწორედ ამაშია მოლაპარაკების მთავარი აზრი, როგორც არ უნდა განვმარტოთ, საბოლოო ჯამში, საერთაშორისო ურთიერთობებში მოლაპარაკება სადავო ან შესათანხმებელი საკითხების გადაწყვეტის თანამედროვე ცივილიზებული ეფექტური საშუალებაა, მხარეებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმება რეალურად ცხოვრებაში გაცილებით უკეთ სრულდება, ვიდრე სასამართლოსა თუ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მოლაპარაკების წარმოება ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის ეროვნულ დონეზე, შეუძლებელია სახელმწიფომ შეძლოს წარმატებული საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოება, თუკი მას არ აქვს შიდა კონსტრუქციული დიალოგის წარმოების უნარი მოწინააღმდეგესთან. ამავდროულად საზოგადოებაში რადიკალურად განწყობილმა ჯგუფებმაც უნდა შეარბილონ აგრესიული პოლიტიკის წარმოება, არ გადაკვეთონ ზღვარი, რომელიც სახელმწიფო ინტერესებზე გადის, მოლაპარაკება და კომპრომისი შიდა დონეზე უნდა ემსახურებოდეს მაღალ ღირებულებას, სახელმწიფოს უსაფრთხოების, მასში მცხოვრები ყოველი ადამიანის უფლების და კეთილდღეობის დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში რთულად წარმოსადგენია სტაბილურობის შენარჩუნება, ამასთანავე სიძულვილის ენის შეკავება, რომელიც განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაა მრავალი თვალსაზრისით.

ბევრი სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოსი თუ პოლიტიკოსი, ადასტურებს სახელმწიფოს შიგნით, ასევე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში მოლაპარაკების აუცილებლობას, დღესდღეობით როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირების კუთხით საქართველო გაცილებით უკეთ წარმართავს დიალოგს, თუმცა აღნიშნული არასაკმარისია მზარდი გამოწვევების კვალდაკვალ და საჭიროებს გაცილებით მეტ მუშაობას შიდა დონეზე ეფექტური გზების ძიებას რადიკალიზმის და სიძულვილის ენის შესაკავებლად.

პოზიტიური ურთიერთობების დამყარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ ხელს შეუწყობს სამართლიანი, დემოკრატიული გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც წინსვლის, სტაბილურობის უპირობო გარანტი იქნება.

დასკვნა

სტატიაში განხილულია მოლაპარაკებების როლი პოლიტიკოსების საქმიანობაში როგორც შიდა პოლიტიკის სფეროში, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში. როგორც წესი, მოლაპარაკების მიზანია

მხარეებს შორის არსებული წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების მოგვარება ან თუნდაც მათი შერბილება და შემცირება.

პოლიტიკურ კულტურას, როგორც სისტემას, აქვს თავისი სტრუქტურა, რომელიც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობაა. სტრუქტურამდე პოლიტიკური კულტურა მოიცავს საჭიროებებს და ინტერესებს, ცოდნას პოლიტიკის, შეხედულებების, ორიენტაციების, ღირებულებითი განსჯის, პოლიტიკური ფენომენების შეფასების, პოლიტიკური ცნობიერების, აზროვნების, ხასიათის, საზოგადოებაში აღიარებული პოლიტიკური ნორმების, სიმბოლოების, ტრადიციების შესახებ. პოლიტიკური კულტურის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ ცნობიერებას, რომლის შემადგენელი ელემენტებია ტრადიციული იდეები, რომლებიც ჩნდება თეორიულად სისტემატიზებული ცოდნისა და ყოველდღიური ცნობიერების დონეზე.

პოლიტიკური კულტურა არის ჯამი მაღალი ღირებულებების და შეხედულებების, ბუნებრივია, რომ პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს მრავალი, მათ შორის გეოგრაფიული ფაქტორი.

საქართველოში პოლიტიკური კულტურა იშვიათად არის კვლევის საგანი, რაც ბუნებრივია. მიმდინარე პროცესებიდანაც ჩანს, იმისთვის, რომ ქვეყნამ შეძლოს განვითარება, აუცილებელია საზოგადოების პოლიტიკური ქცევის მოდელის გაუმჯობესება, შეუძლებელია პროგრესზე საუბარი, თუკი არ მოხდება სიძულვილის ენის ჩანაცვლება და განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე კონსესუსის მიღწევა.

რადიკალიზმი ყოველთვის მიუთითებს საზოგადოების არაზრდასრულობაზე და კრიზისის მაჩვენებელია. ეროვნულ დონეზე კომუნიკაციის პრობლემატურობა საკმაო კითხვის ნიშნებს ბადებს, რადგან ცნობიერების რადიკალიზაციის მიზეზს, როგორც წესი, ფასეულობათა მკვეთრი სხვაობა წარმოადგენს ხოლმე, რაც საქართველოს მაგალითზე არც თუ ისე ხშირია, შესაბამისად, ვიდრე შესაძლებელია გაცილებით ნაკლები დანაკარგით სოციალური სიტუაციის გაუმჯობესება, ხელისუფლებას მართებს დროული ქმედითი ნაბიჯის გადადგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფასეულობების მკვეთრი დაპირისპირების შემთხვევაში სიძულვილის ენის და რადიკალიზაციის შეკავება გაცილებით ბევრ დანაკარგს წარმოშობს, პროცესში მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიების ჩართულობა, რომელთა მიზანს მხოლოდ ხელისუფლების ცვლილება კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის სისტემური გარანტიების შექმნა და ქვეყნის მართვაში ღირსეული მონაწილეობა.

დღეს საქართველოში საკმაოდ არაერთგვაროვანი პოლიტიკური კულტურაა დამკვიდრებული. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული კულტურა იწყებს გაღრმავებას, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ატარებს რადიკალიზმის, სიძულვილის ენის გამომხატველ მახასიათებლებს. ამ პირობებში აუცილებელია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების დაჟინებით გაგრძელება, მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობის გაზრდა და სოციალიზაცია. შეუძლებელია, პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე ვისაუბროთ პლურალიზმის, რაციონალურობის, დემოკრატიის და ტოლერანტობის გარეშე.

პოლიტიკური კულტურის განვითარების პერსპექტივები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე აისახება. ქვეყანაში არ იქნება სტაბილური პოლიტიკური სისტემა, თუ არ იქნება განჭვრეტილი პოლიტიკური კულტურის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების, საზოგადოების გაერთიანებასა და შეთანხმების მიღწევის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ლიდერები და ისინი უზრუნველყოფენ პოლიტიკური კურსის უწყვეტობას, რაც განმაპირობებელია სოციალური ბალანსის.

დღესდღეობით საქართველოში ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობა. საზოგადოების დაკვეთა დიალოგის წარმოებას გულისხმობს, დიალოგის უპირატესობა კი გახლავთ ის, რომ პროცესში ჩნდება მოწინააღმდეგესთან კომპრომისის მიღწევის სურვილი, რომელიც დემოკრატიის აუცილებელი პირობაა. ჩემი დასკვნით, პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას სჭირდება ხელსაყრელი კლიმატი, ამდენად აუცილებელია კონსენსუსის მიღწევა, შეთანხმება პოლიტიკური თამაშის წესებზე, რათა ქვეყანამ შეძლოს მოსალოდნელ კონფლიქტებთან გამკლავება და სტაბილური განვითარება.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ პოლიტიკაში ჩართვისგან განსხვავებით, პოლიტიკური კულტურის შექმნა განაპირობებს განვითარების შესაძლებლობას, ამდენად ინსტრუმენტი გამოყენებული უნდა იქნას ხსენებული მიზნისთვის.

ვიმედოვნებ, რომ სტატია დაეხმარება სპეციალისტებს მოლაპარაკებების მომზადებაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არტი, რ. და ჯერვისი, რ., 2011. საერთაშორისო პოლიტიკა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ასმუსი, რ., 2010. მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. თბილისი: ილიაუნი.
3. ბჟეზინსკი, ზ., 2014. დიდი საჭადრაკო დაფა. თბილისი: არტანუჯი.
4. დოღონაძე, შ., 2012. საუბრები თანამედროვე ეტიკეტზე და დიპლომატიურ პროტოკოლზე. თბილისი: ცის ნამი.
5. დოღონაძე, შ., 2002. საქართველო: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ. თბილისი: მეცნიერება.
6. დოღონაძე, შ. და ქოჩორაძე, ო., 2011. საქმიანი ურთიერთობები. თბილისი.
7. კარნეგი, დ., 1992. როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და ვიმოქმედოთ ადამიანებზე. თბილისი: სამშობლო.
8. ლემპერერი, ა, პ. და კოლსონი, ო., 2011. მოლაპარაკების მეთოდები. თბილისი.
9. მანველიძე, ი., 2013. მოლაპარაკების მეთოდები. თბილისი: უნივერსალი.
10. მანველიძე, ი. და ზოიძე, ი., 2009. საერთაშორისო მოლაპარაკებები. თბილისი: უნივერსალი.
11. მენთეშაშვილი, ა., 2003. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია. თბილისი.
12. მეტრეველი, რ., 2009. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. თბილისი.
13. რონდელი, ა., 2006. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: ნეკერი.
14. რუსაძე, ნ., 2018. საერთაშორისო უსაფრთხოება: გამოწვევები და პრობლემები (ქეისების კრებული). ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/329308815> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2023].
15. სანიკიძე, გ. და კიღურაძე, ნ., 2001. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი.
16. ჭიპაშვილი, ჰ., 2007. დიპლომატია. თბილისი: ინოვაცია-პლიუსი. ხუნდაძე, ც., 2016. ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები. თბილისი.
17. ხუნდაძე, ც., 2016. ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები. თბილისი.

18. ჯოლია, გ., 2004. მოლაპარაკების თეორია და პრაქტიკა. თბილისი.
19. Barnard, M., 1984. 'Culture and Political Development: Herder's Suggestive Insights', American Political Science Review ,Archie Brown, 'Introduction', in Archie Brown (ed.), Political Culture and Communist Studies (London: Macmillan, 1984).
20. Brubaker, R. and Cooper, F., 2000. Beyond "identity". Theory and society.
21. Barnard, F. M., 1969. 'Culture and Political Development: Herder's Suggestive Insights', American Political Science Review.
22. Brown, A.,1984. 'Introduction', in Archie Brown (ed.), Political Culture and Communist Studies. London: Macmillan.
23. Gellner, E. 2008. Nations and nationalism. Cornell University Press.
24. Inglehart, R. 1988. The renaissance of political culture. The American Political Science Review.
25. Smith, D., 2013. Nationalism and modernism. London: Routledge.
26. Whitefield, S., 2005. Political Culture and post-communism. In Political culture and post-communism. London: Palgrave Macmillan.

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Arty, R., 2011. Jervis R., International Politics. Tbilisi: Ilia State University Publishing House. (in Georgian)
2. Asmus, R., 2010. A small war that shook the world. Tbilisi: Ilyauni. (in Georgian)
3. Brzezinski, Z., 2014. big chess board. Tbilisi: Artanuji. (in Georgian)
4. Brubaker, R. and Cooper, F., 2000. Beyond "identity". Theory and society. (in English)
5. Barnard, F. M., 1969. 'Culture and Political Development: Herder's Suggestive Insights', American Political Science Review. (in English)
6. Brown, A.,1984 'Introduction', in Archie Brown (ed.), Political Culture and Communist Studies. London: Macmillan. (in English)
7. Barnard, M., 1984. 'Culture and Political Development: Herder's Suggestive Insights', American Political Science Review, Archie Brown, 'Introduction', in Archie Brown (ed.), Political Culture and Communist Studies (London: Macmillan, 1984). (in English)
8. Carnegie, D., 1992. How to win friends and influence people. Tbilisi: Samshoblo. (in Georgian)
9. Dogonadze, sh., 2012. Conversations on modern etiquette and diplomatic protocol. Tbilisi: Sky Dew. (in Georgian)
10. Dogonadze, sh., 2022. Georgia: the path from international recognition to international fellowship. Tbilisi: Science. (in Georgian)
11. Dogonadze, Sh. and Kochoradze, O., 2011. business relations. Tbilisi. (in Georgian)
12. Gellner, E., 2008. Nations and nationalism. Cornell University Press. (in English)
13. Inglehart, R., 1988. The renaissance of political culture. The American Political Science Review. (in English)
14. Jolia, G., 2004. Theory and Practice of Negotiation, Tbilisi. (in Georgian)
15. Khundadze, T., 2016. The main features of Georgian political culture Tbilisi. (in Georgian)
16. Lemperer A, P., Colson O., Methods of Negotiation, Vol., 2001. (in Georgian)
17. Manvelidze, I., 2013. Negotiation methods. Tbilisi: Universal. (in Georgian)
18. Manvelidze, I. and Zoidze I., 2009. International negotiations. Tbilisi: Universal. (in Georgian)
19. Menteshashvili, A., 2003. History of International Relations and Diplomacy. Tbilisi. (in Georgian)
20. Metreveli, R., 2009. Essays on the History of Georgian Diplomacy. Tbilisi. (in Georgian)
21. Rondel, A., 2006. International relations. Tbilisi: Necker. (in Georgian)
22. Rusadze, N., 2018. International security: challenges and problems (collection of cases). Kutaisi: Akaki Tsereteli State University. [online] available at <https://www.researchgate.net/publication/329308815> [Accessed 20 November 2023]. (in Georgian)
23. Sanikidze, G. and Kiguradze, N., 2001. Modern international relations. Tbilisi. (in Georgian)
24. Smith, D., 2013. Nationalism and modernism. London: Routledge. (in English)
25. Whitefield, S., 2005. Political Culture and post-communism. In Political culture and post-communism. London: Palgrave Macmillan. (in English)

26. Chipashvili, H., 2007. Diplomacy. Tbilisi: Innovation-Plus. (in Georgian)

REFERENCES:

1. Barnard, M., 1969. Culture and Political Development: Herder's Suggestive Insights', American Political Science Review 63; p. 384.; Brown, A., 1984. Introduction Political Culture and Communist Studies (London: Macmillan, 1984). p. 1. (in English)
2. Inglehart, R., 1988. The renaissance of political culture. The American Political Science Review, p. 1226. (in English)
3. Sanikidze, G. and Kiguradze, N., 2021. Contemporary International Relations, Globalization of World Politics, Tbilisi: Meridian, p. 5. [Online] available at <https://www.geculture.com/2020/11/25> [Accessed 14 November 2023]. (in Georgian)